ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4424961

ნომერი: AR1664037

თარიღი : 27.02.2019

გაცემის თარიღი : 21.03.2019

გაცნობის თარიღი : 21.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , იმედაძის I ჩიხი N8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვახტანგ ლაშხი პ/ნ 01009005931
- თბილისი საბურთალოს ქ. N 7 ბ. 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მარტის №588089 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 27

თებერვალს NAR1664037 განცხადებით მომართა ვახტანგ ლაშხმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2013 წლის 14 მარტის №588089 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მარტის №588089 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, იმედაძის I ჩიხი N8–ში, ამხანაგობა ,,ბაგები–2007"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2013 წლის 14 მარტიდან 2013 წლის 14 აგვისტოს ჩათვლით.
სამსახურის 2018 წლის 28 სექტემბრის №4193105 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 18 სექტემბრის Nბ-19/01182151331-17 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის Nბ-19/0118288541-17 ბრძანებით, ქ. თბილისში, იმედაძის I ჩიხი N8–ში (საკადასტრო კოდი: N01.14.08.005.026) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში.
განმცხადებლების განმარტებით, სამსახურის 2013 წლის 14 მარტის №588089 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 1165.5 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს - 1144.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 215.3 კვ.მ-ის ნაცვლად - 204.6 კვ.მ, მანსარდის ფართობი 277.8 კვ.მ-ის ნაცვლად - 281.2 კვ.მ ხოლო საერთო ფართობი 2182.1 კვ.მ-ის ნაცვლად - 2153.8 კვ.მ. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია გასწორებული გეგმები.
სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება ფართობების დაზუსტება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მარტის №588089 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 1144.5 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 204.6 კვ.მ, მანსარდის ფართობი: 281.2 კვ.მ, საერთო ფართობი: 2153.8 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მარტის №588089 ბრძანებით შეთანხმებული -8.20, -4.50, ±0,00, +3.30, +6,60 და +9.90 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მარტის №588089 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 14 მარტის №588089 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.